

ორგანიზაციის „თანასწორობა ახლა“/Equality Now სასამართლოს
მეგობრის მოსაზრება ე. მ.-ს წინააღმდეგ პ. უ.-ს სარჩელის საკასაციო
განხილვასთან დაკავშირებით

23.06.2021

Americas

PO Box 7160, NY, NY 10008-1160
p. +1 212-586-0906
f. +1 212-586-1611
info@equalitynow.org

Europe & Eurasia

PO Box 77508, London, SW1P 9PZ, UK
p. +44(0) 7445 699 371
ukinfo@equalitynow.org

Africa

1st Floor, Bishops Garden Towers, Bishops Road
Mailing : PO Box 2018 - 00202, Nairobi, Kenya
p. +254 20-2719-832 | f.: +254 20-2719-868
equalitynownairobi@equalitynow.org

„თანასწორობა ახლა“/Equality Now და სასამართლოს მეგობრის წარდგენის ინტერესი	3
I. გამონატვის თავისუფლება იცავს მსხვერპლ ქალებს, რომლებიც საჯაროდ საუბრობენ ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილებაზე და ეს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით	4
II. მსხვერპლის გამონატვის თავისუფლებაში ჩარევა დაუშვებელია, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ძალზე შეზღუდული გარემოებების არსებობისას, რომლებიც მოცემულ საქმეში არ არსებობს	7
A. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მნიშვნელოვან ფაქტორებს გამონატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დასაბალანსებლად	7
B. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბალანსის ტესტის გამოყენება მიმდინარე საქმეში ცხადყოფს, რომ ე. მ.-ს გამონატვის თავისუფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს	11
III. ძალადობის მსხვერპლთა გამონატვის თავისუფლების უზრუნველყოფა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მსხვერპლ ქალთა უფლებების დასაცავად, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველსაყოფად და სექსუალური ძალადობის პრევენციისთვის	27
A. ძალადობის მსხვერპლის უფლება თავისუფლად ისაუბროს სექსუალური შევიწროების გამოცდილების შესახებ ძალადობისგან დაცვის უფლების განუყოფელი ნაწილია	27
B. ცილისწამების შესახებ სასამართლო საქმეები, რომლებიც მიზნად ისახავს მსხვერპლი ქალების გაჩუმებას ან მათ წინააღმდეგ ანგარიშსწორებას, წარმოადგენს გენდერულ ძალადობას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს	31
დასკვნა	35

„თანასწორობა ახლა“/Equality Now¹ და სასამართლოს მეგობრის წარდგენის ინტერესი

„თანასწორობა ახლა/Equality Now არის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მთელს მსოფლიოში ქალების და გოგოების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის (www.equalitynow.org). იგი აერთიანებს 160-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედი ინდივიდებისა და ორგანიზაციების ქსელს. ორგანიზაცია 1992 წელს დაარსდა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამართლებრივი და სისტემური ცვლილებების ადვოკატირების ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ორგანიზაციის ოფისები მდებარეობს ბეირუთში, ლონდონში, ნაირობისა და ნიუ იორკში, ხოლო თანამშრომლები და კონსულტანტები ჰყავს მთელს მსოფლიოში, საქართველოს ჩათვლით. იურისტებისა და სამართლის ექსპერტების გუნდთან ერთად, თითქმის 30

¹ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში ასევე მონაწილეობა მიიღო გლობალურმა იურიდიულმა კომპანიამ DLA Piper.

წლის მანძილზე ორგანიზაცია ოთხი ძირითადი თემატური მიმართულებით მუშაობს: კანონის წინაშე თანასწორობის მხარდაჭერა, სექსუალური ძალადობის, ტრეფიკინგისა და ზიანის მომტანი პრაქტიკის აღმოფხვრა.

ვინაიდან საქართველოში აღინიშნება სექსუალური ძალადობისა და შევიწროების მსხვერპლთა გაჩუმებისა და დადანაშაულების პრეცედენტები მათ წინააღმდეგ ცილისწამების სარჩელების აღძვრასთან ერთად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, „თანასწორობა ახლას“ აქვს მაღალი ინტერესი ამ საქმის საბოლოო შედეგის მიმართ. „თანასწორობა ახლა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან მოელის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და იმ საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილი სტანდარტების დაცვას, რომელთა შესრულებაც საქართველოსთვის სავალდებულოა და რომლებიც იცავს გენდერის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლ ქალებს, მათ შორის, მათ უფლებას, საჯაროდ ისაუბრონ თავიანთი გამოცდილების შესახებ. ამ საქმით საქართველოს უზენაეს სასამართლოს შეუძლია, დაამკვიდროს კარგი პრეცედენტი რეგიონის ქვეყნებისთვის, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, ასევე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის მხარდასაჭერად და ქალთა უფლებების რეალიზების უზრუნველსაყოფად.

I. გამოხატვის თავისუფლება იცავს მსხვერპლ ქალებს, რომლებიც საჯაროდ ისაუბრობენ ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილებაზე და ეს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით

1. საქართველოსთვის მხოჭავი ძალის მქონე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები იცავს გამოხატვის თავისუფლებას, რომელშიც შედის გენდერული ძალადობის, სექსუალური ძალადობისა და შევიწროების მსხვერპლ პირთა უფლება საჯაროდ ისაუბრონ განცდილი ძალადობისა და დისკრიმინაციის შესახებ. გამოხატვის თავისუფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის² მე-10 მუხლით,³ სამოქალაქო და პოლიტიკური

² ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ კონვენცია, გაიხსნა ხელმოსაწერად 1950 წლის 4 ნოემბერს, 213 UNTS 221 (ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს), შესწორებული იქნა მე-14 დამატებითი ოქმით, კონვენციის კონტროლის სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმოსაწერად გაიხსნა 2004 წლის 13 მაისს, CETS NO 194 (ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ივნისს).

³ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, გამოხატვის თავისუფლება; 1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. 2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყსრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-19 მუხლით,⁴ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) მე-19 მუხლით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა არაერთი რეგიონალური ხელშეკრულებით, რომლებიც ადასტურებენ ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების გლობალურ მნიშვნელობას. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW კომიტეტი) თანახმად, რომელიც განმარტავს საქართველოსთვის სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას (CEDAW კონვენცია), ქალების გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია მათი სხვა ძირითადი უფლებებისგან, ურთიერთდამოკიდებულია მათზე და ეს განსაკუთრებით ეხება ქალის უფლებას იცხოვროს გენდერული ძალადობისგან თავისუფალ გარემოში.⁵ ამრიგად, გენდერული ძალადობისგან ქალების დაცვის სახელმწიფო ვალდებულება, რომელიც ბოჭავს საქართველოში ხელისუფლების ორგანოებსა და კერძო პირებს, მათ შორის სასამართლო სისტემას, მოიცავს ქალის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ვალდებულებას, როდესაც იგი საუბრობს თავის მიერ განცდილ გენდერულ ძალადობაზე.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს აზრის ქონის თავისუფლებას, ინფორმაციისა და იდეების გავრცელებისა და ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებას. გამოხატვის თავისუფლება შეეხება არა მხოლოდ ისეთ ინფორმაციას ან იდეებს, რომლებიც სასურველია ან განიხილება, როგორც თავაზიანი ან მნიშვნელობის არმქონე საკითხები, არამედ ისეთებსაც, შეურაცხყოფს, შოკს გვრის ან შემანუხებელია.⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ინფორმაცია შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემანუხებელია, პოლიტიკური გამოსვლის ან საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების განხილვისას სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ძალიან მცირე შესაძლებლობა არსებობს.⁷ ეს მოიცავს საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები წარმოშვას, ასევე მნიშვნელოვან სოციალურ საკითხს, ან პრობლემას, რომლის შესახებ ინფორმირებულობის სურვილიც ექნებოდა საზოგადოებას.⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამასთანავე დაადგინა, რომ პირის პირადი ცხოვრების ასპექტებიც კი შეიძლება გასაჯაროვდეს საზოგადოების ინტერესის გამო, როდესაც არსებობს ცალკეული საჯარო პირის კონკრეტული პიროვნული თვისებების შესახებ ინფორმაციის ფლობის ინტერესი.⁹

3. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლება უდავოდ ვრცელდება სექსუალური ძალადობისგან, მათ შორის სექსუალური შევიწროებისგან დაზარალებულ პირებზე. ეს ასპექტი

⁴ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი საქართველოსგან მოითხოვს, რომ უზრუნველყოფს ყველა გამოხატვის თავისუფლებით, მათ შორის, თავისუფლებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, 1966, მუხლი 19, ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx#:~:text=Article%2019&text=Everyone%20shall%20have%20the%20right,other%20media%20of%20his%20choice>.

⁵ CEDAW/C/GC/35.

⁶ Pedersen and Baadsgaard v. Denmark, Appl. no. 49017/99, 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 71.

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - გამოხატვის თავისუფლება (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 აგვისტო) [126]; Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland [GC], § 167.

⁸ იქვე, § 171.

⁹ Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 99, მიემართება *Ojala and Etukeno Oy v. Finland*, Appl. no. 69939/10, 2014 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება §§ 54-55, და *Ruusunen v. Finland*, no. 73579/10, 2014 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება, §§ 49-50.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ხდება სექსუალური ძალადობა და შევიწროება - ცრურწმენაზე დაფუძნებული მითების და სტერეოტიპების პირობებში, რომლებიც ხშირად ადანაშაულებს და არცხვენს ქალებს მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. ძალადობაზე საუბარმა შეიძლება ამ საკითხის გარშემო არსებული სოციალური დისკურსი ძირეულად შეცვალოს და პასუხისმგებლობის აქცენტი მართებულად გადაიტანოს მოძალადეზე. როდესაც ქალი დაზარალებულები ძალადობისა და შევიწროების გამოცდილებას უზიარებენ საზოგადოებას, მათი ეს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, მაშინაც კი, თუ საჯარო გამონათქვამები შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემანუხებელია, ან პირის პირადი ცხოვრების ასპექტების გამჟღავნებას იწვევს. დაზარალებულთა მიერ თავიანთი გამოცდილების შესახებ საუბრის უფლება არამხოლოდ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ მსხვერპლთა ხმები, როგორცაა ე. მ., არ შეიზღუდოს, რადგან მათი გამოცდილება საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს და მათი სიტყვის თავისუფლება არამხოლოდ დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, არამედ უფრო მეტიც, გამონატვის თავისუფლების განხორციელება გენდერული ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების უფლების დაცვას უწყობს ხელს.

II. მსხვერპლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დაუშვებელია, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ძალზე შეზღუდული გარემოებების არსებობისას, რომლებიც მოცემულ საქმეში არ არსებობს

A. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მნიშვნელოვან ფაქტორებს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დასაბალანსებლად

4. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, მხოლოდ ძალზე ლიმიტირებულ გარემოებებში შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული.¹⁰ ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი არის რეპუტაციის ან სხვათა უფლებების დაცვა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით არის განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ტერმინს „რეპუტაციის უფლება“ და მხოლოდ სიტყვა „რეპუტაციას“ იყენებს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის საფუძველს,¹¹ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ რეპუტაცია ნაწილია ევროპული

¹⁰ მონიკა მაკოვეი, „გამოხატვის თავისუფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის იმპლემენტაციის გზამკვლევი, ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო“, No2 (ევროპის საბჭო, მე-2 გამოცემა, 2004) 7.

¹¹ ტანია აპლინი და ჯეისონ ბოსლანი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის არამყარი ლანდშაფტი: რეპუტაციის დაცვა, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება“ ა. კენიონი, ცილისწამებისა და კონფიდენციალობის შედარებითი სამართალი (CUP, 2016), თავი 13, 1.

კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული¹² პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმონერის პატივისცემის უფლებისა.¹³

5. ევროპული კონვენცია სახელმძღვანელო მითითებებს აძლევს სახელმწიფოებს, თუ როგორ უნდა დააბალანსონ გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გარკვეული წესები რეპუტაციის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს თანახმად, რეპუტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზიის დროს ვერ მოხდება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოხმობა. იმისათვის, რომ ცილისწამების საქმეებში მე-8 მუხლი იქნას გამოყენებული, პირის რეპუტაციაზე თავდასხმამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ დონეს და სერიოზული ზიანი მიაყენოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობას.¹⁴ გარდა ამისა, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობა შეუძლებელია რეპუტაციის შელახვის ისეთ შემთხვევაში, რაც პირის საკუთარი ქმედებების მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენს.¹⁵

6. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაბალანსებისას, ევროპული სასამართლო იყენებს სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს, რომელთა შორისაა:¹⁶

- a. საზოგადო ინტერესის დებატში წვლილის შეტანა;
- b. რამდენად ცნობილია ეს პირი და რა არის [მედიის მიერ] გავრცელებული ინფორმაციის საგანი;
- c. განსახილველი პირის წინმსწრები ქცევა;
- d. ინფორმაციის მოპოვების მეთოდი და მისი უტყუარობა; და,
- e. გასაჯაროებული ინფორმაციის შინაარსი, ფორმა და მისი შედეგები.

7. ზემოაღნიშნული არსებითი ფაქტორების ბალანსი კრიტიკულია, რადგან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამ შეიძლება აშკარად დამაზიანებელი გავლენა იქონიოს და გამოიწვიოს საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი ხმების ჩახშობა. სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებების დაცვა გათვალისწინებულია ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-19 მუხლის

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება: 1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა. 2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

¹³ მარიეტ ჯონსი, „რამდენად ეფექტურია ევროკავშირის კანონმდებლობა იურისდიქციით ვაჭრობის თავიდან ასაცილებლად პირადი უფლებების ონლაინ დარღვევიდან მომდინარე სარჩელებთან მიმართებაში?“ რასელ უივერში, (რედ.). *კონფიდენციალობა ციფრულ ეპოქაში: პერსპექტივები ორი კონტინენტიდან* (Carolina Academic Press 2017) 47, 47.

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 დეკემბერი) [146].

¹⁵ მუხლი 10, გზამკვლევი no. 109; Axel Springer AG v. Germany, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება §§ 83-84; Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 43MGN Limited v. the United Kingdom, Appl. no. 39401/04, Judgment (merits) of 18 January 201, § 142; Sidabras and Džiautas v. Lithuania, Appl. nos. 55480/00 and 59330/00, 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, § 49.

¹⁶ Von Hannover v. Germany (no. 2), Appl. nos. 40660/08 and 60641/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, §§ 109-113; Axel Springer AG v. Germany, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, §§ 89-95.

მე-3 პუნქტით.¹⁷ განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დებულებების განმარტებისას კონკრეტულად მიუთითებს: „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტიანი ზომები სიტყვის თავისუფლების უფლების გამოყენების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმებისგან დასაცავად. უფრო კონკრეტულად, მე-3 პუნქტის გამოყენება არ შეიძლება მრავალპარტიული დემოკრატიის, დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების რაიმე სახით ადვოკატირების ჩახშობის დასასაბუთებლად.“¹⁸ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც დაზარალებულები საუბრობენ სექსუალური ძალადობის, შვიწროების ან დისკრიმინაციის გამოცდილების შესახებ, ისინი ამით ახდენენ როგორც თავიანთი ძირითადი უფლებების რეალიზების ადვოკატირებას, ასევე სხვა ქალთა უფლებებსა და გენდერული ნიშნით ძალადობისგან დაცვას.

8. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს ევროპული სასამართლოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის სტანდარტებზე და ასევე მხედველობაში მიიღოს სხვა ქვეყნების იურისდიქციების - ინდოეთის,¹⁹ რუსეთის,²⁰ ნიდერლანდების,²¹ აშშ-სა²² და საფრანგეთის²³ - სასამართლოების გადანყვეტილებები მსგავს საკითხებზე. მაგალითად, ინდოეთის დელის უმაღლესი სასამართლოს გადანყვეტილების თანახმად საქმეზე *Mobashar Jawed Akbar v. Priya Ramani*²⁴, აკბარმა ცილისწამების შესახებ სარჩელი შეიტანა რამანის წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც რამანმა განცხადებები გააკეთა ბექდურ მედიასა და ონლაინ პლატფორმებზე, უწოდა აკბარს „სექსუალური მტაცებელი.“ აკბარის სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რადგან სასამართლომ დაადგინა, რომ რამანმა გაამხილა სიმართლე, რომელიც ეხებოდა მის მიმართ სექსუალური შვიწროების ფაქტს და რაც ემყარებოდა რამანისა და მისი მეგობრის ჩვენებას. მან ეს ფაქტები გაასაჯაროა კეთილსინდისიერად და სამუშაო ადგილზე სექსუალური შვიწროებისგან სხვა ქალების დაცვის მიზნით.²⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ „რეპუტაციის უფლება არ შეიძლება იყოს დაცული ინდოეთის კონსტიტუციით გარანტირებული ქალის სიცოცხლისა და ღირსების, აგრეთვე კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონის მიერ თანასწორი დაცვის უფლებების დარღვევის ხარჯზე. ქალს აქვს უფლება, მის მიერ შერჩეულ ნებისმიერ პლატფორმაზე წარადგინოს პრეტენზია, თუნდაც ათწლეულების გასვლის შემდეგ.“²⁶

¹⁷ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19. 1. თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი აზრის შეუფერხებლად გამოხატვის უფლება; 2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით. 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ამიტომ, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

¹⁸ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N34, CCPR/C/GC/34, §23

¹⁹ შრი რავინდრა კუმარ პანდეის სასამართლო, ახალი დელი, საქმეზე *Mobashar Jawed Akbar v. Priya Ramani*, 2021 წლის 17 თებერვალი (ინდოეთი).

²⁰ რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო, საქმეზე *Aleksey Alekseyevich Migunov v. Ekaterina Alekseyevna Fyodorova & Ors*, საქმე No. 2-2979/2020, 2021 წლის 28 იანვარი (რუსეთი).

²¹ ამსტერდამის სასამართლო საქმეზე *claimant v. TMG Landelijke Media B.V.*, 2018 (ნიდერლანდები).

²² ნიუ ორკის შტატის უზენაესი სასამართლო, საქმეზე *Sagaille v. Carrega*, საქმე No. 2020-02369 154010/18, 2021 წლის 9 მარტი (აშშ) და კალიფორნიის სააპელაციო სასამართლო, *Wentworth v. Hemenway*, 2019 წლის 5 ივნისი (აშშ).

²³ პარიზის სააპელაციო სასამართლო, *Muller c/ Brion, Arrêt du 2021* წლის 31 მარტი, N° RG 19/19081 (საფრანგეთი).

²⁴ შრი რავინდრა კუმარ პანდეის სასამართლო, ახალი დელი, საქმეზე *Mobashar Jawed Akbar v. Priya Ramani*, 2021 წლის 17 თებერვალი (ინდოეთი).

²⁵ იქვე, გვ. 72.

²⁶ იქვე, გვ. 90.

მსგავსად ინდოეთის სასამართლოსი, საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოში რეპუტაციის უფლების დაცვა არ ხორციელდებოდეს გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის შედეგად დაზარალებულ ქალთა უფლებების დარღვევის ხარჯზე, მათ შორის მათი გამოხატვის თავისუფლებისა და ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების უფლებების შელახვის ფასად.

B. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბალანსის ტესტის გამოყენება მიმდინარე საქმეში ცხადყოფს, რომ ე. მ.-ს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს

a. საზოგადო ინტერესის დებატებში წვლილის შეტანა

9. საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის უფლებაზე მსჯელობისას არსებითი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეაქვს აღნიშნულს წვლილი საზოგადო ინტერესის მქონე დებატებში. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ პოლიტიკური სიტყვის ან საჯარო ინტერესის მქონე საკითხების განხილვის შეზღუდვის შესაძლებლობები ძალიან მცირეა.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო ინტერესის საგნის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება კონკრეტული საქმის გარემოებებზე,²⁸ სახელმწიფოს შეფასების ზღვარი მცირდება, როდესაც დებატები მიმდინარეობს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე.²⁹

10. ევროპული სასამართლოს თანახმად, „საზოგადოებრივი ინტერესი, როგორც წესი, მიემართება ისეთ თემებს, რომლებსაც აქვთ პოტენციური, გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე იმდენად, რომ ლოგიკურად იწვევენ საზოგადოების ყურადღებას, თემებს, რომლებიც მიიპყრობენ საზოგადოების ყურადღებას ან თემებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ალელვებს საზოგადოებას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისინი გავლენას ახდენენ მოქალაქეთა კეთილდღეობასა ან საზოგადოების ცხოვრებაზე“.³⁰ აღნიშნული შეეხება ისეთ საკითხებსაც, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობის გამოწვევის პოტენციური, ასევე საკითხებს, რომლებიც ეხება მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას, ან საკითხებს რომელთა შესახებ ინფორმირებულობის ინტერესი ექნებოდა საზოგადოებას.³¹ ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების ასპექტები შეიძლება გახდეს საჯარო იმ საფუძველით, რომ საზოგადოებას შესაძლებელია, ჰქონდეს ინტერესი კონკრეტული საჯარო პირის პიროვნული თვისებების შესახებ.³² აღნიშნულის საფუძველი არის ის, რომ საზოგადოებას სურს, იყოს ინფორმირებული საჯარო მოხელის ქცევის იმ ასპექტების შესახებ, რომელთაც იგი ამჟღავნებს მისი როლის შესრულებისას და რაც აჩვენებს მის პიროვნულ თვისებებსა და ქცევას - ეს მოიცავს სამუშაო ადგილას ქალთა სექსუალურ შევიწროებას.

²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - გამოხატვის თავისუფლება (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 აგვისტო) [126]; *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], § 167.

²⁸ *Von Hannover v. Germany* (no. 2), Appl. nos. 40660/08 და 60641/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 109; *-Axel Springer AG v. Germany*, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 90.

²⁹ *Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France*, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 96, მიემართება *Editions Plon v. France*, no. 58148/00, 2004-IV, § 44.

³⁰ *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, Appl. no. 931/13, 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, § 171.

³¹ იქვე, § 171.

³² *Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France*, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, §99, მიემართება *Ojala and Eukeno Oy v. Finland*, Appl. no. 69939/10, 2014 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება §§ 54-55, და *Ruusunen v. Finland*, no. 73579/10, 2014 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება, §§ 49-50.

11. მოცემულ საქმეში, სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ საჯარო მოხელე პ. უ.-მ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, რაც გამოიხატა ე. მ.-ს, რომელიც იმ დროისთვის მისდამი დაქვემდებარებული თანამშრომელი იყო, სექსუალური შევიწროებასა და მისთვის მტრული სამუშაო გარემოს შექმნაში. როგორც სახალხო დამცველის აპარატის გადანყვეტილებაში გამოყენებული მტკიცებულებების ამონარიდებშია აღწერილი, შევიწროება, დისკრიმინაცია და მტრული სამუშაო გარემო ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. პ. უ.-ს ქმედებების შესახებ ინფორმირება საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, რადგან ამით შესაძლებელია როგორც პ. უ.-ს, ასევე საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებში მსგავს თანამდებობებზე დასაქმებულ სხვა პირთა მხრიდან შესაძლო სექსუალური შევიწროების ფაქტების თავიდან აცილება. ეჭვგარეშეა, რომ არსებული ვითარება განიხილება, როგორც საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საჯარო ინტერესის დებატებში.

12. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ როდესაც ე. მ. მიიწვიეს სატელევიზიო შოუში საკუთარ გამოცდილებაზე სასაუბროდ, მას უკვე წარდგენილი ჰქონდა მტკიცებულებები სექსუალური შევიწროების შესახებ სახალხო დამცველთან და სახალხო დამცველს მის სასარგებლოდ უკვე ჰქონდა მიღებული გადანყვეტილება, რომლითაც დადგენილი იყო, რომ პ. უ.-მ სექსუალური შევიწროება ჩაიდინა ე. მ.-ს მიმართ. საქართველოს სახალხო დამცველს საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე და მისი კონკრეტული ვალდებულებაა ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირება.³³ ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატი არის თანასწორობის ეროვნული ორგანო, რომელიც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით „განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.“³⁴ სახალხო დამცველი უფლებამოსილია, დაადგინოს დისკრიმინაციის ფაქტი და მიმართოს შესაბამის ორგანოს ან პირებს რეკომენდაციით, გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები დადგენილ დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების მიზნით.³⁵ სახალხო დამცველის ოფისის ექსპერტული ცოდნისა და მანდატის გათვალისწინებით, მისი გადანყვეტილებები ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, რადგან ისინი პირდაპირ შეეხება საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას და დისკრიმინაციისგან, მათ შორის სექსუალური შევიწროებისგან, დაცვას, რომელიც დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს.³⁶ როდესაც ე. მ.-მ საჯაროდ ისაუბრა საკუთარი გამოცდილების შესახებ, მან წარმოადგინა სახალხო დამცველის მიერ უკვე დადგენილი გარემოებები მისი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის შესახებ, რაც საზოგადოების ინტერესის საგანია. გარდა ამისა, ვინაიდან სახალხო დამცველმა გადანყვეტილება გამოიტანა ე. მ.-ს სასარგებლოდ და ვინაიდან CEDAW-ს კომიტეტის თანახმად გენდერული ძალადობა თავის თავში მოიცავს შევიწროებასაც და

³³ საქართველოს სახალხო დამცველი, იხ. ბმულზე: https://equineteurope.org/author/georgia_publicdefender

³⁴ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6(2)(ა).

³⁵ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 9(3).

³⁶ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2.

CEDAW-ს კონვენციის მიხედვით იგი წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას,³⁷ ე. მ.-ს განცხადებები შეესაბამებოდა სიმართლეს. შესაბამისად, პ. უ.-ს არ შეუძლია დაეყრდნოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დებულებებს, რადგან რეპუტაციის ნებისმიერი შელახვა მისივე ქმედებების მოსალოდნელი შედეგი იყო.³⁸

13. გარდა ამისა, მსხვერპლის გამოხატვის თავისუფლების დაცვა საზოგადოების ინტერესის საგანია, რადგან იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცვლილების მიღწევას, რაც აუცილებელია სექსუალური შევიწროებისა და ქალთა მიმართ სხვა სახის სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთი ცვლილებები მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საზოგადოება ინფორმირებულია არსებული ვითარების შესახებ; შეუძლია, ჩამოაყალიბოს მოსაზრებები რა არის სწორი და რა არის არასწორი და შეუძლია ამის თაობაზე შეიტყოს თავად დაზარალებულებისგანაც. თუ საზოგადოება ვერ მიიღებს ინფორმაციას სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და შევიწროების შესახებ, ან თუ მოხდება მსხვერპლთა ხმების ჩახშობა, დისკრედიტაცია ან შეზღუდვა, საზოგადოება დარჩება ინფორმაციის გარეშე, რაც დათრგუნავს საზოგადოების პოლიტიკურ მონაწილეობას და შეაფერხებს საზოგადოებრივ ცვლილებებს. ისტორიულად, ქალთა უფლებების დამცველი კანონები მხოლოდ მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ქალებმა დაიწყეს საუბარი უსამართლო მოპყრობაზე, რამაც გამოიწვია საზოგადოების უკმაყოფილება და საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების გატარების მოთხოვნები.

14. სექსუალური შევიწროება და სექსუალური ძალადობა საქართველოში საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანი უნდა იყოს. 2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქსტატისა და ევროკავშირის მიერ ჩატარებულმა ეროვნულმა კვლევამ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, დაადგინა, რომ ქალების 26%-ს განუცდია სექსუალური ძალადობა ან სექსუალური ძალადობა.³⁹ 2021 წლის 12 მარტის მონაცემებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დაადგინა, რომ სამუშაო ადგილას სექსუალურ შევიწროებას განიცდის საქართველოში ყოველი 10 ქალიდან ერთი.⁴⁰ ამრიგად, გამოხატვის თავისუფლების განხორციელება არ არის მხოლოდ ე. მ.-ს და მის მდგომარეობაში მყოფ სხვა დაზარალებულთა ინტერესი. დაზარალებულთა ხმის გაგონება სახელმწიფოს ინტერესიცაა, რათა სახელმწიფომ შეძლოს სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა.

³⁷ კონვენციის 1-ლი მუხლში განერილი განმარტების მნიშვნელობისთვის დისკრიმინაციად ჩაითვლება გენდერული ძალადობა, რომელიც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ქალთა მიერ საერთაშორისო სამართლითა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული კონვენციებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებით სარგებლობას. ასეთ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს განეკუთვნება: ... (თ) სამართლიანი და სათანადო სამუშაო პირობებით სარგებლობის უფლება.” CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია No19 (1992). იხ. ბმულზე: https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/I_Global/INT_CEDAW_GEC_3731_E.pdf ; იხ. ასევე: CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N35 (67-ე სესია), „ გენდერულ ძალადობას მრავალი ფორმა აქვს: ეს შეიძლება იყოს ქმედებები ან უმოქმედობა, რომლებიც გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვევს ან შედეგად მოიტანს ... შევიწროებას ...“ იხ. ბმულზე: <https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CEDAW/Pages/Recommendations.aspx>

³⁸ მუხლის 10, გზამკვლევი no. 109; Axel Springer AG v. Germany, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება §§ 83-84; Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 43; MGN Limited v. the United Kingdom, Appl. no. 39401/04, Judgment (merits) of 18 January 2011, § 142; Sidabras and Džiautaus v. Lithuania, Appl. nos. 55480/00 and 59330/00, 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, § 49.

³⁹ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 2017 წლის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქსტატისა და ევროკავშირის მიერ, გვ. 49. იხ. ბმულზე: <https://www.geostat.ge/media/26061/National-VAW-Study-Report-ENG.pdf>

⁴⁰ „სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმი კიდევ ხუთ საჯარო უწყებაში დაინერგა“, 2021 წლის 12 მარტი, იხ. ბმულზე: <https://georgia.unwomen.org/en/news/stories/2021/03/five-more-governmental-organizations-adopt-internal-anti-sexual-harassment-mechanisms>

15. მნიშვნელოვანია, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღოს პარიზის სააპელაციო სასამართლოს და ამსტერდამის სასამართლოს გადაწყვეტილებები. საქმეზე *Cour d'Appel de Paris, Muller c/ Brion*,⁴¹ ფრანგმა ქალბატონმა გამოაქვეყნა შეტყობინებები, რომლითაც დაგმო სექსისტური კომენტარები და მამრობითი სქესის კოლეგების არაადეკვატური საქციელი, რითაც ქალი შეუერთდა #Metoo და #balancetonporc მოძრაობებს.⁴² ქალის წინააღმდეგ საფრანგეთის სასამართლოებში შევიდა სარჩელები ცილისწამებისა და რეპუტაციის შელახვის საკითხზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი მოქმედებდა მისი უფლების ფარგლებში ემხილებინა ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები, რომლებმაც შესაძლოა, შელახოს ქალის ღირსება, რომელთა შეწყვეტა დიდი ხნის მანძილზე ხდებოდა, მიმდინარეობდა შეუმჩნეველად და რომელთა გაგრძელებაც დაუშვებელია. ასეთ ვითარებაში, სასამართლომ განმარტა, რომ ქალის წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანა, თუნდაც ეს იყოს სამოქალაქო სასამართლებრივი გადაწყვეტილება, იქნებოდა არაპროპორციული ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში და მას შესაძლოა, ჰქონოდა დამაბრკოლებელი ეფექტი ამ თავისუფლების რეალიზებისთვის.⁴³ სასამართლომ ასევე განმარტა, რომ გამჟღავნებული ინფორმაცია შესაბამის მტკიცებულებებზე დაფუძნებით, ემსახურებოდა საზოგადოებრივ სიკეთეს და ზოგადად ქალთა სექსუალური შევიწროებისგან დაცვის საჯარო ინტერესს.⁴⁴

16. ამსტერდამის სასამართლოს საქმეზე, *claimant v. TMG Landelijke Media B.V.*,⁴⁵ მოსარჩელემ, რომელიც ჰოლანდიის მთავრობამ დააჯილდოვა დაუცველ მდგომარეობაში მყოფი სურინამის ოჯახების დახმარებისთვის, უჩივლა გაზეთს, რომელშიც გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მან ჩაიდინა პედოფილიის ქმედებები და შეუფერებლად შეეხო არასრულწლოვან გოგონებს. მას შემდეგ, რაც გოგონებმა გაიგეს, რომ მოსარჩელე ნომინირებული იყო ჯილდოზე, მათ წამოაყენეს მის მიმართ ბრალდებები პედოფილიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენდა არ გაჟღერებულიყო მის მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებები, სასამართლომ მიიჩნია, რომ გოგონების მხრიდან სიცრუის შანსები მცირე იყო და დაადგინა, რომ ჟურნალისტმა გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება ინფორმაციის გასაჯაროების პროცესში. რაც მთავარია, მოსამართლემ აღნიშნა, რომ გაზეთს უნდა მიეცეს გამოხატვის შესაძლებლობა, კრიტიკული, ინფორმაციული, მოსაზრების შემქმნელი და ფრთხილი ფორმით, საზოგადო ინტერესის საკითხებზე და რომ სექსუალური ხასიათის აგრესია არის ძალადობრივი ქმედება, რომელიც გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე.⁴⁶

b. რამდენად ცნობილია ეს პირი⁴⁷ და რა არის გავრცელებული ინფორმაციის საგანი

⁴¹ პარიზის სააპელაციო სასამართლო, *Muller c/ Brion*, 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, N° RG 19/19081 (საფრანგეთი).

⁴² #MeToo არის სოციალური მოძრაობა სექსუალური ძალადობისა და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც დაზარალებულები ასაჯაროებენ სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის საკუთარ გამოცდილებას, რათა აამაღლონ ცნობიერება, გააძლიერონ და სოლიდარობა გაუჩინონ სხვა დაზარალებულებს, და წვლილი შეიტანონ ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრაზა #MeToo ამ კონტექსტში პირველად გამოიყენეს 2006 წელს, სოციალურ ქსელ MySpace-ზე, სექსუალური შევიწროების დაზარალებულმა და აქტივისტმა ტარანა ბურკმა და 2017 წლის ბრალდებების შემდეგ იმ სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც ჩაიდინა პროდიუსერმა ჰარვერი ვეინშტაინმა. მოძრაობა #MeToo გაიზარდა და გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ფრანგული ვერსია არის #BalanceTonPorc, რომელიც ითარგმნება როგორც „თქვენი ღორის ეყვანი“.

⁴³ პარიზის სააპელაციო სასამართლო, *Muller c/ Brion*, 2021 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, N° RG 19/19081 (საფრანგეთი).

⁴⁴ იქვე, გვ. 11, §4.

⁴⁵ ამსტერდამის სასამართლო, *claimant v. TMG Landelijke Media B.V.*, 2018 (ნიდერლანდები).

⁴⁶ იქვე, §4.8.

⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე No: 330210018002489228 2ბ/318-20, 9 დეკემბერი 2020.

17. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ პირის პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაზე გავლენას ახდენს, თუ რა მოცულობითაა გასაჯაროებული ინდივიდის პროფილი ან რამდენად ცნობილია ეს პირი საზოგადოებისთვის.⁴⁸ სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს წარმოადგენს აღნიშნული პირის როლი, ფუნქცია და იმ აქტივობების ხასიათი, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების საგანია.⁴⁹ პრეცედენტული სამართლის თანახმად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კერძო პირები და საჯარო კონტექსტში მოქმედი პირები, როგორცაა, პოლიტიკური და საჯარო ფიგურები. შესაბამისად, მაშინ, როდესაც საზოგადოებისთვის უცნობ კერძო პირს შეუძლია, მოითხოვოს მისი პირადი ცხოვრების განსაკუთრებული დაცვა, იგივე უფლებით ვერ ისარგებლებენ საჯარო პირები.⁵⁰ ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის უფლება, როგორც წესი, უფრო ფართოა, როდესაც ეს პირები რაიმე ოფიციალურ ფუნქციას არ ასრულებენ, ხოლო ოფიციალური ფუნქციის შესრულების დროს მათი ეს უფლება უფრო შეზღუდულია. საჯარო პირების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ მათ მეტი მიმღებლობა გამოიჩინონ მათი ქცევის კრიტიკის მიმართ, როდესაც ეს ინფორმაცია საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს განმარტებით, საჯარო პირის სტატუსი ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც შეიძლება მიიჩნეოდეს საჯარო პირად - კერძოდ პირებზე, რომლებიც საზოგადოებრივ ასპარეზზე გავიდნენ თავიანთი ქმედებების ან დაკავებული პოზიციის გამო.⁵¹

18. საქმეზე *Kacki v. Poland*, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ პირის როლისა და ფუნქციის მნიშვნელობას, ვისკენაც მიმართულია სადავო განცხადებები. ამ შემთხვევაში, ფიზიკურმა პირმა ყოველდღიურ გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბრალი დასდო ევროპარლამენტის წევრს, რომ მან ერთ-ერთ თანაშემწეს შესთავაზა ანაზღაურებადი სამსახური სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დადანაშაულებული პირი იყო საჯარო პირი. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეზე საჯარო პირმა გაზეთს არ მოსთხოვა ინფორმაციის რაიმე სახის კორექტირება ან უარყოფა და არც რაიმე ისეთი მოქმედება განუხორციელებია, რაც ალადგენდა მისი რეპუტაციის უფლების სავარაუდო დარღვევას. ამის ნაცვლად, მან აირჩია სისხლის სამართლის წესით კერძო საჩივრის წარდგენა იმ ჟურნალისტის წინააღმდეგ, რომელმაც გამოაქვეყნა ბრალდების შემცველი განცხადებები და სასამართლომ დაადგინა, რომ ეს იყო არაპროპორციული რეაგირება ცილისწამებაზე.⁵² შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, არის თუ არა პირი საჯარო პირი და რამდენად პროპორციულია საჯარო პირის მიერ რეპუტაციის შელახვის გამოსასწორებლად მიღებული ზომები.

19. მოცემულ შემთხვევაში, პ. უ. არის XX ყოფილი უფროსი, ამრიგად, მას ოფიციალური საჯარო თანამდებობა ეკავა. თბილისის სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ უდავოა, რომ პ. უ. არის

⁴⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - გამოხატვის თავისუფლება (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 აგვისტო) [133].

⁴⁹ *Axel Springer AG v. Germany*, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 91.

⁵⁰ *Axel Springer AG v. Germany*, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 91.; *Von Hannover v. Germany* (no. 2), Appl. nos. 40660/08 და 60641/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 110.

⁵¹ *Kapsis and Danikas v. Greece*, § 35 და *Verlagsgruppe News GmbH v. Austria*, App. No. 76918/01, 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება.

⁵² *Kacki v. Poland*, Appl. no. 10947/11, 2017 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, § 53: „სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ M.C.-მ არ მოითხოვა გაზეთის მხრიდან კორექტირება ან უარყოფა. მან არ წამოიწყო სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება A.R.-ს წინააღმდეგ. ანალოგიურად, მან დაიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება განმცხადებლის ან გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა გამოსწორებულიყო მისი რეპუტაციის უფლების სავარაუდო შეზღუდვა. ამის ნაცვლად, მან აირჩია სისხლის სამართლის სასამართლოში განმცხადებლის წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნის წარდგენა (იხ. ზემოთ მე -12 პუნქტი).“

საჯარო პირი და, შესაბამისად, ცილისწამების შემთხვევაში მასზე ვრცელდება საჯარო პირის სტანდარტი.⁵³ პ. უ.-ს საზოგადოებრივი როლის, სტატუსის, მნიშვნელობისა და სხვა ქალ თანამშრომლებზე მისი გავლენისა და ზემოქმედების გათვალისწინებით, საზოგადოებას აქვს მნიშვნელოვანი ინტერესი, რომ ინფორმირებული იყოს მისი ქმედებების შესახებ და მისი ქმედებები უფრო მაღალი ინტენსივობის კრიტიკის სტანდარტს დაექვემდებარება, ვიდრე სხვა პირების შემთხვევაში.

20. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პ. უ.-ს, მისი საჯარო პირის სტატუსის გათვალისწინებით, აქვს შესაძლებლობა, უფრო დიდ აუდიტორიას დაუკავშირდეს, ვიდრე ეს შეუძლია კერძო პირს საკუთარი თავის გამოხატვის მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო დამცველის გადამწყვეტილების გამოტანის და იმ სატელევიზიო პროგრამის გასვლის შემდეგ, სადაც გაკეთდა განცხადებები, პ. უ.-ს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი პერსპექტივიდან აეხსნა სიტუაცია და მის განკარგულებაში იყო სავარაუდოდ უფრო ფართო აუდიტორია, ვიდრე ე. მ.-ს შემთხვევაში. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებისთვის თავისი პერსპექტივა შეეთავაზებინა ან ე. მ.-ს მიერ გაკეთებულ განცხადებებისთვის ეპასუხა, პ. უ.-მ დაუყოვნებლივ შეიტანა სარჩელი ე. მ.-ს წინააღმდეგ ცილისწამების გამო. მისი შესაძლებლობებისა და საჯარო პირის სტატუსის გათვალისწინებით, ეს არაპროპორციული რეაგირება იყო ე. მ.-ს განცხადებებზე.

21. კიდევ უფრო შემამოფოთებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უნდა აღინიშნოს, არის პ. უ.-ს, როგორც საჯარო პირის, გავლენა მედიასაშუალებებზე. როგორც საჯარო პირს, მას აქვს უფრო მეტი პოტენციალი, რომ ხელი შეუწყოს ცრუ ინფორმაციის გავრცელებას და ამით გააძლიეროს გენდერული სტიგმა. ეს ამკარავს საქმიდან ე.მ სანდრო კაჭახიძისა და სალომე გოგობიას წინააღმდეგ,⁵⁴ სადაც დადგინდა, რომ რესპონდენტებმა დაარღვიეს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი⁵⁵ და მე-7 პრინციპები.⁵⁶ ამ შემთხვევაში, მოპასუხებებმა, რომლებიც ტელეჟურნალისტები არიან, საჯაროდ განაცხადეს, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ პ. უ.-ს არ ჩაუდენია შევიწროება ე.მ.-ს მიმართ - მაშინ როდესაც ეს საკითხი არ იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის და დადგენის საგანი. ქარტიის საბჭომ მიიჩნია, რომ დაირღვა 1-ლი პრინციპი, რადგან სახალხო დამცველის მიერ უკვე დადგენილი იყო გარემოება - სექსუალური შევიწროება - რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.⁵⁷ გარდა ამისა, ჟურნალისტმა გაავრცელა პ. უ.-ს განცხადება: „ეს ადამიანი არის ასაკოვანი, ორი ბავშვის ბებია და მე არ მაინტერესებს ეხლა ეს როგორც ქალი, ეს ადამიანი არ მაინტერესებს.“⁵⁸ ქარტიის საბჭომ დაადგინა, რომ ეს „ხელს უწყობს სტიგმისა და სტერეოტიპების გამყარებას გენდერული ნიშნით“ და არღვევს მე-7 პრინციპს.⁵⁹ გარდა იმისა, რომ საჯარო პირთა მხრიდან სექსუალური შევიწროების აქტები არის

⁵³ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 330210018002489228 2ბ/318-20, 9 დეკემბერი 2020 [36].

⁵⁴ ე. მ. სანდრო კაჭახიძისა და სალომე გოგობიას წინააღმდეგ, საქმე N-311, 11 იანვარი, 2020, იხ. ბმულზე: <https://www.gartia.ge/ka/gadatsyvetelebebis-dzebna/article/79790-ekaterine-meskhidze-sandro-katcakhidzis-da-salome-gogokhia-s-tsinaaghdmdeg>

⁵⁵ ქარტიის პრინციპი 1: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.“

⁵⁶ ქარტიის პრინციპი 7: ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

⁵⁷ ე. მ. სანდრო კაჭახიძისა და სალომე გოგობიას წინააღმდეგ, საქმე N-311, 11 იანვარი, 2020, იხ. ბმულზე: <https://www.gartia.ge/ka/gadatsyvetelebebis-dzebna/article/79790-ekaterine-meskhidze-sandro-katcakhidzis-da-salome-gogokhia-s-tsinaaghdmdeg>

⁵⁸ იქვე

⁵⁹ იქვე

საზოგადოებრივი ინტერესის საგანი, გასათვალისწინებელია მათი გავლენა გენდერული სტიგმის, სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის შენარჩუნებაზე.

c. განსახილველი პირის წინარე ქცევა;

22. კრიტიკის მიმართ ტოლერანტობის მოსალოდნელი ხარისხის შეფასებისას ევროპული სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს პიროვნების წინარე ქცევას. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, მაგალითად, რომ „შესაბამისი პირის ქცევა მოხსენების გასაჯაროებამდე [ასევე არის ფაქტორი], რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული“.⁶⁰ უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო პირდაპირ ამბობს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით საჩივრის დასაბუთება შეუძლებელია, რეპუტაციის იმგვარი შელახვის გამო, რაც პირის საკუთარი ქმედებების მოსალოდნელი შედეგია.⁶¹

23. ამ შემთხვევაში, უკვე არსებობდა სახალხო დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შესახებ პ. უ.-თვის გარკვევით იყო ცნობილი. საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში პ. უ.-ს მოუსმინეს და შესთავაზეს, მოეყვანა არგუმენტები და მტკიცებულებები, საკუთარი პოზიციის დასაცავად. სახალხო დამცველმა გადაწყვეტილება მიიღო ე. მ.-ს სასარგებლოდ და ე. მ. მედია საშუალებაში მიიწვიეს, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, რათა საჯაროდ ესაუბრა მისი გამოცდილების შესახებ. ე. მ. მის მიერ გაკეთებულ მომდევნო განცხადებებში მოყვა პ. უ.-ს წინარე ქმედებების შესახებ, რომლებზეც უკვე დადგენილი იყო, რომ სექსუალური შევიწროებას წარმოადგენდა. ამრიგად, სახალხო დამცველის საქმისწარმოების შედეგად, პ. უ.-ს ლოგიკური მოლოდინი მისი პირადი ცხოვრების უფლების მიმართ უკვე მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და რაც ყველაზე მთავარია, ამის მიზეზი იყო პ. უ.-ს მიერვე ჩადენილი სექსუალური შევიწროების აქტები. შესაბამისად, პ. უ.-ს არ შეუძლია დაეყრდნოს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს რეპუტაციის შელახვის საფუძლით, რადგან ამ შემთხვევაში სახეზეა საკუთარი ქმედებების მოსალოდნელი შედეგი.

24. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მსხვერპლის უფლებების დაცვა და გამოხატვის თავისუფლება, მინიმუმ ისეთი ხარისხით, როგორც ეს გააკეთა რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ მსგავს საქმეზე - *ალექსეი ალექსეიევიჩ მიგუნოვი ეკატერინა ალექსეიევნა ფიოდოროვას წინააღმდეგ*.⁶² აღნიშნულ საქმეში მოსარჩელემ განაცხება, რომ მოპასუხის ცრუ ბრალდებამ გაუპატიურების შესახებ, რომელიც მან გამოქვეყნდა Facebook- ზე და გაავრცელა ორმა სხვა მოპასუხემაც, შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე შეიცავდა კონფლიქტს რეპუტაციის დაცვასა და ქალის გამოხატვის თავისუფლების უფლებას შორის, რომელმაც განიცადა სექსუალური ძალადობა.⁶³ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოქალაქეების უფლება მათი პატივის,

⁶⁰ Axel Springer AG v. Germany, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 92, Von Hannover v. Germany (no. 2), Appl. nos. 40660/08 და 60641/08, , 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 111.

⁶¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - გამოხატვის თავისუფლება (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 აგვისტო) [109]; Axel Springer AG v. Germany, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, §§ 83-84; Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 43; MGN Limited v. the United Kingdom, Appl. no. 39401/04, 2011 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, § 142; Sidabras and Džiautas v. Lithuania, Appl. nos. 55480/00 და 59330/00, 2004 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება, § 49.

⁶² რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო საქმეზე, Aleksey Alekseyevich Migunov v. Ekaterina Alekseyevna Fyodorova & Ors, საქმე No. 2-2979/2020, 2021 წლის 28 იანვარი (რუსეთი).

⁶³ იქვე, გვ. 2, §6

ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ არის მათი კონსტიტუციური უფლება, მაგრამ სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ბალანსის დაცვა ამ უფლებასა და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს შორის, მათ შორისაა აზრის, სიტყვის, მასობრივი ინფორმაციის და ნებისმიერი კანონიერ საშუალებით ინფორმაციის თავისუფლად თქმის, მიღების, გადაცემის, წარმოებისა და გავრცელების უფლება. ქალებზე სექსუალური ძალადობის საქმეებს აქვს განხილვის თავისებურებები მათი მაღალი სოციალური მნიშვნელობის გამო და ეს შემთხვევები მოითხოვს, რომ სასამართლოებმა განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ მტკიცების საგნის დადგენისას.⁶⁴ საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ მოპასუხის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რომ პირს არ შეუძლია გამოიყენოს პირადი ცხოვრების უფლების დაცვა და მოითხოვოს რეპუტაციის შელახვის გამო ზიანის ანაზღაურება, თუ „რეპუტაციის შელახვა“ მისივე ქცევის მოსალოდნელი შედეგი იყო.⁶⁵

დ. ინფორმაციის მოპოვების მეთოდი და მისი უტყუარობა

25. ევროპული სასამართლო მე-10 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის შესწავლისას ამონმებს ინფორმაციის მიღების გზას და მის უტყუარობას.⁶⁶ რელევანტურია ასევე, თუ რა ფაქტობრივ საფუძველს ემყარება გავრცელებული ინფორმაცია. ამასთან, ფაქტობრივი საფუძველის წარმოდგენის საჭიროება ნაკლებია, როდესაც ფაქტები საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია.⁶⁷ ასეთ შემთხვევაში დადანაშაულებული პირის რეპუტაციაზე შესაძლო გავლენა კიდევ უფრო ლიმიტირებულია.⁶⁸ უფრო მეტიც, როდესაც პირს დაუდასტურებელ ფაქტებზე ჰქონდა გაკეთებული განცხადებები და მას ამის გამო ედავებოდნენ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სიტყვის თავისუფლების დარღვევა, რადგან არ არსებობდა აღნიშნული ფაქტების დამტკიცების შესაძლებლობა.⁶⁹

26. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო აღიარებს ჭეშმარიტების დაცვის პრინციპს (*exceptio veritatis*) ცილისწამების საქმის განხილვის პროცესში.⁷⁰ იმის გათვალისწინებით, რომ ჭეშმარიტების დაცვის პრინციპი ცილისწამების საქმეებში მოპასუხის დაცვის გარანტიაა, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ „მნიშვნელოვანია, მოპასუხეს მიეცეს რეალისტური შესაძლებლობა, დაამტკიცოს, რომ არსებობდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მის მიერ გაკეთებული ბრალდებებისთვის”.⁷¹ ამ საქმეში ე. მ.-ს არა მხოლოდ ჰქონდა მისი ბრალდებების დამტკიცების რეალისტური შესაძლებლობა, არამედ სახალხო დამცველის აპარატს უნდა ჰქონდა დადგენილი მის მიერ გამოთქმული ბრალდებების რეალურად არსებობა და რომ სახეზე იყო სექსუალური შევიწროება, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, სექსუალური ძალადობის ფორმას წარმოადგენს (აღნიშნულის თაობაზე იხილეთ აბზაცი 33-ე).

⁶⁴ იქვე, გვ. 3, §15

⁶⁵ იხილეთ ასევე გადაწყვეტილება საქმეზე *Axel Springer AG v. Germany*, Grand Chamber, Appeal no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება.

⁶⁶ იხ., *Von Hannover v. Germany* (no. 2), Appl. nos. 40660/08 და 60641/08, 2012 წლის 7 თებერვლი, იხ. ასევე: *Axel Springer AG v. Germany*, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, § 90-95: „ინფორმაციის მიღების გზა და მისი უტყუარობა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორებია.“

⁶⁷ *Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlags GmbH v. Austria*, Appl. no. 58547/00, 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, § 35.

⁶⁸ იხ. მაგ.: *Verlagsgruppe News GmbH v. Austria*, App. No. 76918/01, 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 30.

⁶⁹ *Flux v. Moldova* (no. 1), Appl. no. 28702/03, Judgment of 20 November 2007, § 31, 35.

⁷⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - გამოხატვის თავისუფლება (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 აგვისტო) [209].

⁷¹ *Morice v. France* [GC], § 155, შემდგომი მითითებით.

27. მოცემულ საქმეში, ე. მ. მიწვეული იყო და ინტერვიუ მისცა სატელევიზიო პროგრამას სახალხო დამცველის მიერ მის სასარგებლოდ გადანიშნული გამოცემის შემდეგ, რომლითაც დადგინდა იყო, რომ პ. უ.-მ ჩაიდინა სექსუალური შევიწროების აქტები. როგორც აქამდეც აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი თანასწორობის ეროვნული ორგანოა და უფლებამოსილია, გააკონტროლოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე, ანტიდისკრიმინაციული კანონისა და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის მეშვეობით, განიხილოს საჩივრები დისკრიმინაციის თაობაზე (სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს) და მიიღოს გადანიშნული - დაადგინოს დისკრიმინაციის ფაქტი.⁷² ამრიგად, გამოცდილება, რომელზეც ე. მ.-მ სატელევიზიო პროგრამაში ისაუბრა, უკვე დადგინდა სექსუალური შევიწროების ფაქტი იყო, რაც, თავის მხრივ სექსუალური ძალადობის ფორმას წარმოადგენს (იხ. აღნიშნული დოკუმენტის 33-ე აბზაცი). **მაშასადამე, აუცილებელია იმის სრულად გათვალისწინება, რომ სახალხო დამცველმა დაადასტურა ე. მ.-ს მიერ გაკეთებული განცხადებების უტყუარობა და, შესაბამისად, ამ განცხადებების ჭეშმარიტება უნდა წარმოადგენდეს ე. მ.-ს დაცვის გარანტიას ცილისწამების სარჩელისგან.**

ე. გასაჯაროებული კონტენტი, გასაჯაროების ფორმა და მისი შედეგები.

28. საჯაროდ გაკეთებული განცხადებების შინაარსთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცილისწამების საქმეების სამოქალაქო წესით განხილვის კონტექსტში, გამომხატვის თავისუფლებისთვის დაწესებული საპროცესო შეზღუდვა. კერძოდ, ეს არის მოთხოვნა, რომ ბრალდებუნი იყოს „არსებითად მართალი ალბათობათა ბალანსის მიხედვით.“⁷³ ეს არის მინიმალური ზღვარი, რომლითაც განსახილველი განცხადების სისწორის დადასტურება უნდა იყოს შესაძლებელი, კონკრეტულად კი, განცხადება არსებითად უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს ალბათობათა ბალანსის მიხედვით. **მოცემულ საქმეში ალბათობათა ბალანსის ტესტის გამოყენებისას, გაუგებარია, თუ რატომ გადაიხარა შედეგი პ. უ.-ს სასარგებლოდ.** საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებების, მათ შორის, ტექსტური შეტყობინებების, ელ. ფოსტის, საქმიანი კორესპონდენციისა და არაერთი მოწმის, აგრეთვე სახალხო დამცველის მიერ შემოთავაზებული დასკვნების გათვალისწინებით, **თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსხვერპლს დაუდგინა უფრო მაღალი სტანდარტი და დააკისრა უფრო მკაცრი მტკიცების ტვირთი, ვიდრე ადრე ევროპული სასამართლოს მიერაა დადგინილი.** ამასთან, მამაკაცებთან შედარებით ქალებისთვის უფრო მაღალი მტკიცების ტვირთის დაკისრება წარმოადგენს დისკრიმინაციას და პირდაპირ ეწინააღმდეგება CEDAW კომიტეტის ზოგად რეკომენდაცია N33-ს.⁷⁴

29. რაც შეეხება გამომხატვის ფორმას, ევროპული სასამართლო ყოველთვის მიიჩნევდა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამომხატული იდეებისა და ინფორმაციის არსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. მაგალითად, ერთი-ერთი ელემენტი, რომელიც განცხადების შინაარსის შეფასებისას ხშირად განიხილება, არის შეურაცხმყოფელი ან

⁷² დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8-9.

⁷³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების გზამკვლევი - გამომხატვის თავისუფლება (ბოლო ვერსია 2020 წლის 31 აგვისტო) [200]; *McVicar v. the United Kingdom*, §§ 84, 87.

⁷⁴ CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, პარ. 25 (ა) (iii) „დამატებითი მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც ახდენს ქალების, როგორც მოწმეების, მომჩივანებისა და მოპასუხეების დისკრიმინაციას, მოითხოვს რა მათგან მტკიცების უფრო მაღალი ტვირთის წარმოდგენას, ვიდრე მამაკაცებისგან დანამაჟის დასადგენად ან ზიანის ანაზღაურების მოსაპოვებლად.“ იხ. ბმულზე:

https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_33_7767_E.pdf

დამამცირებელი ტერმინების გამოყენება.⁷⁵ ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა "რასისტული აგიტაცია", "იდიოტი", "ნაცისტი", "ნეო-ნაცისტი" და "ფაშისტი", ავტომატურად არ ამართლებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას.⁷⁶ ამ შემთხვევაში აპელანტის მიერ გაკეთებული განცხადებები გადაიციმდა სატელევიზიო პროგრამებით. ე. მ.-ს შემთხვევაში, სატელევიზიო პროგრამები გადასცემდა უშუალოდ მის გამონათქვამებს, სადაც იგი საუბრობს პ. უ.-თან მუშაობის პერიოდში თავის გამოცდილებაზე. ე. მ.-ს განცხადებები არ იყენებს შეურაცხყოფელ ან დამამცირებელ ტერმინებს და იგი არ საუბრობს საკითხებზე, რომლებიც მისი გამოცდილების ფარგლებს სცდება. არ ყოფილა გამოყენებული გადაჭარბებული გაზვიადება ან პროვოკაცია, შეურაცხყოფელი ან დამამცირებელი ტერმინები. ამიტომ, არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ შეიზღუდოს ე. მ.-ს სიტყვის თავისუფლება გამოხატვის შინაარსისა და ფორმის საფუძველზე და მისი გამოხატვა ჯდება სამართლებრივად დაშვებულ ფარგლებში.

30. დაბოლოს, პირს, რომელსაც ადანაშაულებენ დისკრიმინაციაში, შევინროებასა და ძალადობაში, ემუქრება უარყოფითი შედეგები პირადი და პროფესიული კუთხით და ეს შედეგები განსაკუთრებით სერიოზული შეიძლება იყოს, თუ ბრალდებები არ შეესაბამება სიმართლეს, არაპროპორციულია ან უსამართლო. ამის მიუხედავად, ევროპული სასამართლო ცალსახად განმარტავს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს ვერ დაეყრდნობა საჩივარი, თუ რეპუტაციის შელახვა საკუთარი ქმედებების მოსალოდნელი შედეგია,⁷⁷ ამასთანავე, სახალხო დამცველის მიერ უკვე დადგენილია, რომ პ. უ.-ს ქმედებები კვალიფიცირდება სექსუალურ შევინროებად. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა პრესის პროაქტიური როლის მნიშვნელობას ინფორმაციის გამოვლენისთვის და საზოგადოების ყურადღების გამახვილებისთვის ისეთ საკითხებზე, რამაც შესაძლოა, აღძრას ინტერესი ან გამოიწვიოს საჯარო დებატები. ე. მ.-ს მოქმედებები შეესაბამებოდა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მაღალ სტანდარტს მედიის საშუალებით გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელების შესახებ.

31. შესაბამისად, ე. მ.-ს სიტყვით გამოსვლის შინაარსის, ფორმისა და შედეგების შეფასების საფუძველზე, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ და ზემოთ განხილულ ოთხ სხვა არსებით ფაქტორთან ერთად, მივდივართ დასკვნამდე, რომ ე. მ.-ს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იქნება არაგონივრული, გაუმართლებელი და დაარღვევს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, რომლებიც საქართველოსთვის არის სავალდებულო.

⁷⁵ Chauvy and Others v. France, Appl. no. 64915/01, 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, 2004-VI, §§ 211 და 231.

⁷⁶ იბ. მაგ., Scharsach and News Verlagsgesellschaft mbH v. Austria, Appl. no. 39394/98, 2003 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, 2003-XI, §§ 127 და 137; Unabhängige Initiative Informationsvielfalt v. Austria, Appl. no. 28525/95, 2002 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, 2002-I, §§ 275 და 283; Oberschlick v. Austria (no. 2), Appl. no. 20834/92, 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება, §§ 1274-75.

⁷⁷ მუხლი 10, გზამკვლევი no. 109; Axel Springer AG v. Germany, Appl. no. 39954/08, 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება, §§ 83-84; Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France, Appl. no. 40454/07, 2015 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, § 4; 3MGN Limited v. the United Kingdom, Appl. no. 39401/04, Judgment (merits) of 18 January 2011, § 142; Sidabras and Džiautas v. Lithuania, Appl. nos. 55480/00 and 59330/00, 2004 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, § 49.

III. ძალადობის მსხვერპლთა გამონატვის თავისუფლების უზრუნველყოფა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მსხვერპლ ქალთა უფლებების დასაცავად, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველსაყოფად და სექსუალური ძალადობის პრევენციისთვის

A. ძალადობის მსხვერპლის უფლება თავისუფლად ისაუბროს სექსუალური შევიწროების გამოცდილების შესახებ ძალადობისგან დაცვის უფლების განუყოფელი ნაწილია

32. ქალებისთვის, ძალადობისგან, კერძოდ გენდერული ძალადობისგან დაცვა დამოკიდებულია მათი გამონატვის თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობაზე. როგორც ზემოთ, 1-ლ აბზაცში აღინიშნა, CEDAW-ს კომიტეტი ცალსახად განმარტავს, რომ „ქალთა უფლება გენდერული ძალადობისგან თავისუფალ ცხოვრებაზე განუყოფელია და ურთიერთდამოკიდებულია ადამიანის სხვა უფლებებთან, მათ შორის ... გამონატვის თავისუფლებასთან“.⁷⁸

33. ამასთანავე, სექსუალური შევიწროება არის ძალადობის ფორმა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით. სტამბოლის კონვენცია სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობის ფორმაც განსაზღვრავს - „[მონაწილე სახელმწიფოები] დიდი გულსტკივილით აღიარებენ, რომ ქალები და გოგონები ხშირად განიცდიან ისეთი სერიოზული ფორმების ძალადობას, როგორცაა ... სექსუალური შევიწროება ... რაც წარმოადგენს ... ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას და ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში.“⁷⁹ ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, პირველი უნივერსალური საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ითვალისწინებს ქალთა მიმართ ძალადობის განმარტებას და მე-2 მუხლის თანახმად ძალადობის ფორმად მიიჩნევს „სექსუალურ შევიწროებას და დაშინებას სამუშაო ადგილზე“.⁸⁰

34. როდესაც სექსუალური შევიწროების მსხვერპლებს დაბრკოლება ექმნებათ თავიანთი გამოცდილების შესახებ საუბარში, იზღუდება მათი გამონატვა ან ექვემდებარებიან დისკრედიტაციას ინიციატივის გამოჩენის შემთხვევაში, ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც მოიცავს სექსუალური შევიწროებას, ნარჩუნდება და დამნაშავეები დაუსჯელობით სარგებლობენ. ძალადობის მსხვერპლი ქალები საქართველოში ხშირად აწყდებიან სტიგმას, განმეორებით ვიქტიმიზაციასა და დისკრიმინაციას, რომდესაც გადწყვეტენ ისაუბრონ განცდილი სექსუალური ძალადობის შესახებ. მათი გამონატვის თავისუფლებისთვის ბარიერების არსებობა კი ნიშნავს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შეფერხებას. სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად, მსხვერპლის გამონატვის თავისუფლება უნდა განიხილებოდეს როგორც ფუნდამენტური და არსებითი უფლება და ქალების მიერ სექსუალური შევიწროების შესახებ საუბრის დანერგვა საქართველოში უნდა გახდეს ნორმალური მოვლენა.

⁷⁸ CEDAW/C/GC/35.

⁷⁹ სტამბოლის კონვენციის პრეამბულა.

⁸⁰ A/RES/48/104 - დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ - გაეროს დოკუმენტები: გლობალური შეთანხმებების ერთობლიობა, ის. ბმულზე: <http://un-documents.net/a48r104.htm>

35. ინდოეთის დელის უმაღლესმა სასამართლომ⁸¹ დაადგინა ბოლოდროინდელ ცილისწამების საქმეზე (იხ. წინამდებარე დოკუმენტის მე-8 აბზაცი), რომ გამოხატვის თავისუფლება არსებითად უკავშირდება ქალის უფლებას დაცული იყოს გენდერული ძალადობისგან. ამ მნიშვნელოვან საქმეზე მოსამართლემ განმარტა, რომ „სექსუალური ძალადობა, ჩადენილი ქალის მიმართ, ართმევს მას ღირსებას და საკუთარი თავის რწმენას.“ სასამართლოს თანახმად, როდესაც ქალი საუბრობს სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ და თავის მხრივ „თავს ესხმის სექსუალური მოძალადის ან დამნაშავეს ხასიათს,“ ქალის ეს გამოხატვა არის „თავდაცვა დაზარალებულის მიერ განცდილი ფსიქიკური ტრავმისგან, რომელიც უკავშირდება სირცხვილის გრძობას, რომელიც თან ახლავს მის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს.“⁸² ცილისწამებაში დადანიშნულებულმა ქალმა პრია რამანმა მიიჩნია, რომ მნიშვნელოვანი იყო სექსუალური ძალადობის პირად გამოცდილებაზე საუბარი არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვა ქალების დასაცავად. მოსამართლემ კი ქალბატონ რამანის მიერ საკუთარი გამოცდილების გამოხატვა გაუთანაბრა საკუთარი თავის დაცვას. სასამართლოს თანახმად, თავდაცვის უფლების განხორციელებას ვერ გადანონის დამნაშავეს რეპუტაციის დაცვის უფლება.

36. ე. მ. წლების განმავლობაში ითმენდა სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე ამაზე საუბარს დაიწყებდა. ეს არ არის გასაკვირი, რადგან საქართველოში გენდერული ნიშნით ძალადობაზე შეტყობინებები ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე რეალური მაჩვენებელი.⁸³ კერძოდ, საქართველოში სექსუალური შევიწროება კვლავ რჩება სექსუალური ძალადობის გავრცელებულ ფორმად. 2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქსტატთან პარტნიორობით ჩაატარა ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში, რომელიც იყო პირველი ყოვლისმომცველი კვლევა საქართველოში სექსუალური შევიწროების შესახებ.⁸⁴ ამ კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ქალების 26 პროცენტს აქვს სექსუალური შევიწროების ან ძალადობის გამოცდილება,⁸⁵ ქალთა 10%-ს კი შევიწროებას განუცდია სამუშაო ადგილზე.⁸⁶ 2021 წლის 12 მარტს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დააფიქსირა, რომ სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას განიცდის საქართველოში ყოველი 10 ქალიდან ერთი. საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი თამარ საბედაშვილი აცხადებს, რომ „სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროებისა და დისკრმინაციის სხვა ფორმების პრევენცია და აღმოფხვრა მთავრობებისა და დამსაქმებლების პასუხისმგებლობაა, ამიტომ მივესალმებით საჯარო უწყებების გადანყვეტილებას დანერგონ სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმები. ეს საჯარო სამსახურში უსაფრთხო, თანასწორი და ხელშემწყობი გარემოს დანერგვისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია.“⁸⁷ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს წინსვლა სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლაში, მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა ჩამოყალიბდეს კულტურა, რომელიც ხელს შეუშლის სექსუალური შევიწროების

⁸¹ შრი რავინდრა კუმარ პანდეის სასამართლო, ახალი დელი, საქმეზე Mobashar Jawed Akbar v. Priya Ramani, 2021 წლის 17 თებერვალი (ინდოეთი).

⁸² იქვე, პარ. 37, გვ. 90.

⁸³ CEDAW/C/GEO/CO/4-5, პარ 20(b).

⁸⁴ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 2017 წლის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქსტატი და ევროკავშირი.

⁸⁵ იქვე

⁸⁶ „საქართველოს მთავრობა სექსუალურ შევიწროებაზე პრევენციულ ძალისხმევას აძლიერებს“, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2019 წლის 26 სექტემბერი, იხ. ბმულზე: <https://georgia.unwomen.org/en/news/stories/2019/09/georgian-government-advances-prevention-efforts-on-sexual-harassment>

⁸⁷ „სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმი კიდევ ხუთ საჯარო უწყებაში დაინერგა“, 2021 წლის 12 მარტი, იხ. ბმულზე: <https://georgia.unwomen.org/en/news/stories/2021/03/five-more-governmental-organizations-adopt-internal-anti-sexual-harassment-mechanisms>

ფაქტების ჩადენას, პასუხისმგებლობის ტვირთს დააკისრებს დამნაშავეებს და არა მსხვერპლებს და გააძლიერებს დაზარალებულთა ხმებსა და გამოცდილებას.

37. ამიტომ, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლო დაუშვებს, რომ სარჩელები, როგორცაა ცილისწამების სარჩელი, იყოს ინტერპრეტირებული და გამოყენებული ისეთი ფორმით, რაც ზღუდავს ან უფლებას ართმევს ქალებს ისაუბრონ ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილების შესახებ, ეს მხოლოდ დამატებითი ბარიერი გახდება დაზარალებულთათვის სამართლიანობის მისაღწევად და შემდგომი ძალადობის პრევენციისთვის. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაზარალებულთა ხმების დაცვა ისეთივე გულმოდგინებით, როგორც იგი დღეს იბრძვის ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

B. ცილისწამების შესახებ სასამართლო საქმეები, რომლებიც მიზნად ისახავს მსხვერპლი ქალების გაჩუმებას ან მათ წინააღმდეგ ანგარიშსწორებას, წარმოადგენს გენდერულ ძალადობას და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს

38. სტამბოლის კონვენცია პირდაპირ ავალდებულებს საქართველოს, დაიცვას მსხვერპლი „დაშინებისაგან, შურისძიებისგან და განმეორებითი ძალადობისგან.“⁸⁸ გარდა ამისა, ევროპული კონვენციის მე-17 მუხლი ცალსახად განმარტავს, რომ „ამ კონვენციის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას ან ასრულებდეს მოქმედებას, რომელიც გამიზნულია, არარად აქციოს ამ კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ანდა შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.“ ანალოგიურად, საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას ქალები, რომლებიც ითხოვენ თავიანთი დარღვეული უფლებების აღდგენას. კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „აკრძალულია ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.“

39. ზემოხსენებული ნორმების მიზანია, ხელი შეუშალოს მსხვერპლზე უარყოფით ზემოქმედებას, განმეორებით ძალადობასა და შურისძიებას, როდესაც ისინი გამოდიან თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვაზე სასაუბროდ. ეს სამართლებრივი აქტები მიღებულია მსხვერპლთა დასაცავად, რომლებიც ე. მ.-ს მსგავსად სექსუალური შევიწროების შესახებ საუბრობენ და პ. უ.-ს მიერ ჩადენილი ქმედებების თავიდან ასაცილებლად, რასაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს.

40. პ. უ.-ს მიერ სასამართლოსთვის ცილისწამების შესახებ სარჩელით მიმართვა არის დაშინების, შურისძიების და ნეგატიური ზემოქმედების ტაქტიკა ე. მ.-ს მიმართ და საპასუხო რეაქცია ე. მ.-ის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტებზე ხმის ამაღლების. ცილისწამების შესახებ სარჩელი და მისი მოსალოდნელი საბოლოო შედეგი მიზნად ისახავს ე. მ.-ის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლების შელახვას და მის მეორად ვიქტიმიზაციას. მაგალითად, თუ ე. მ.-ს აიძულებენ, გამოვიდეს იმავე ტელევიზიაში და საჯაროდ უარყოს ფაქტები,

⁸⁸ სტამბოლის კონვენცია, მუხლი 56(1)(ა).

როგორც ამას მოითხოვს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, ეს იქნება განმეორებითი ძალადობის ნიმუში, რადგან მას მოუწევს, არამხოლოდ თავიდან გაიაროს უკვე განცდილი ძალადობრივი გამოცდილება, არამედ იძულებული გახდება, საჯაროდ მოახდინოს მინიმიზაცია და დისკრედიტაცია სექსუალური შევიწროებისა, რომლის არსებობაც მისი გამოცდილების გარდა, სახალხო დამცველის მიერაც არის დადასტურებული. დაბოლოს, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ პ. უ.-ს მიერ, ე. მ.-ს წინააღმდეგ ცილისწამების სარჩელის შეტანა სამაგიეროს გადახდის მიზნით, არამხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის დარღვევა, არამედ გენდერული ნიშნით ძალადობის გაგრძელებაა.

41. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ინტერნეტში ძალადობის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების შესახებ, განმარტავს, რომ მსხვერპლთა დაშინება სამართალწარმოებით, მაშინ, როდესაც ისინი ცდილობენ ძალადობის თავიდან აცილებას მათი მდგომარეობის შესახებ განცხადების გაკეთებით, არის გენდერული ძალადობის კიდევ ერთი ფორმა.⁸⁹ სპეციალური მომხსენებელი მიუთითებს საფრთხეზე, რომ იმ ქალთა წინააღმდეგ, ვინც თავიანთ გამოცდილებაზე საუბრობენ, ცილისწამების შესახებ სარჩელების გამოყენება „შეიძლება გახდეს ოჯახში ძალადობისა და შევიწროების კასკადის ნაწილი.“⁹⁰ ცილისწამების შესახებ სარჩელების ამგვარი გამოყენება და საქმეების მსხვერპლი ქალის წინააღმდეგ გადაწყვეტა (როგორც ეს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა გააკეთა) არამხოლოდ ე. მ.-ს, არამედ სხვა მსხვერპლებისა და უფლებადამცველების შეზღუდვას გამოწვევს ხმა აიმაღლოს ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

42. აშშ-ს სასამართლოები ასევე ადგენენ, რომ ცილისწამების საჩივრები, ნამდვილად შეიძლება ემსახურობდეს სამაგიეროს მიზლვას ან წარმოადგენდეს იმ დაზარალებულთა გაჩუმების საშუალებას, რომლებიც ალაპარაკდნენ. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის შტატის უზენაესმა სასამართლომ (სააპელაციო განყოფილება, პირველი სასამართლო დეპარტამენტი) საქმეზე *Sagaille v. Carrega*,⁹¹ იმსჯელა, რომ ცილისწამების საჩივრები შეიძლება წარმოადგენდეს სამაგიეროს მიზლის საშუალებას იმ ადამიანებისთვის, რომელთაც გამბედაობა ეყოთ და ალაპარაკდნენ, რადგან დაზარალებულთა უმრავლესობას არ შეუძლია ხანგრძლივი სასამართლო დავის წარმოება, არც სურს განმეორებითი ტრავმირება ფაქტების გამოსაშკარავების შედეგად და მათზე მოძალადე პირთან არასასურველი კომუნიკაცია სამართალწარმოების პროცესში. კალიფორნიის შტატის სააპელაციო სასამართლო საქმეზე *Wentworth v. Hemenway*⁹² დაადგინა, რომ მოსარჩელემ, რომელმაც ცილისწამების შესახებ სარჩელი შეიტანა ქალის წინააღმდეგ, რომელიც მას სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებდა, სარჩელი წარადგინა მოპასუხის გაჩუმების მიზნით, რაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესის მქონე სიტყვის თავისუფლებაში შეუსაბამო ჩარევას წარმოადგენდა.

43. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა წინააღმდეგ ცილისწამების სარჩელები ჰგავს „საზოგადოებრივი მონანილეობის წინააღმდეგ სტრატეგიულ სამართალწარმოებას“ (SLAPPs) - ტერმინი, რომელიც მიემართება სარჩელებს, რომლებსაც წარადგენენ მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ფინანსური რესურსების მქონე მსხვილი კორპორაციები იმ აქტივისტების ან

⁸⁹ A/HRC/38/47 (n 31) პარ. 31.

⁹⁰ A/HRC/38/47 (n 31) პარ. 31.

⁹¹ *Sagaille v. Carrega*, 2021 N.Y. Slip Op. 1369 (N.Y. App. Div. 2021), Index No. 154010/18 Appeal No. 13314 Case No. 2020-02369, 9 March 2021 (US) at Page 2, column 2, §3.

⁹² Court of Appeal of State of California, *Wentworth v. Hemenway*, 5 June 2019 (US) at page 9, col.1 §1, and col 2, §2

ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებსაც ხშირად აქვთ ორივე რესურსის (სამართლებრივი და ფინანსური) დეფიციტი. ადვოკატი ევან მასკაგნი, პოლიტიკის დირექტორი „საზოგადოებრივი მონაწილეობის პროექტისა“ (Public Participation Project) - ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გააფართოვოს ამერიკული ანტი-SLAPP დაცვის მექანიზმები - განმარტავს: „SLAPP სარჩელის წარმატება არ განიხილვრება სასამართლო პროცესის მოგებით - იგი განისაზღვრება მოპასუხის ძვირადღირებულ, ხანგრძლივ იურიდიულ დავაში ჩართვით და მისი ცხოვრების „ჯოჯოხეთად ქცევით.“⁹³

44. სამართლის პროფესორმა დევიდ ბ. ოპენჰაიმერმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეისწავლა და გამოიკვლია ცილისწამების საქმეები,⁹⁴ რომლებიც წამოიწიეს მამაკაცებმა იმ ქალების საპასუხოდ, რომლებიც საუბრობდნენ სექსუალური შევიწროების შესახებ. მან დაადგინა, რომ „ცილისწამების შესახებ კანონმდებლობა გამოიყენება როგორც იარაღი იმ ქალების გასაჩუმებლად, რომლებიც სექსუალურ შევიწროებაზე ჩივიან, ასევე მათ გასაჩუმებლად, ვინც აკეთებს შეტყობინებას არასათანადო ქცევაზე.“ კანონი მსხვერპლი ქალების დაცვის ნაცვლად, აჩუმებს მათ. ოპენჰაიმერმა ასევე აღნიშნა, რომ „თუ კანონი ვერ დაიცავს ხმის ამაღლების უფლებას ისეთ დარღვევებზე, როგორცაა სექსუალური შევიწროება და ძალადობა, ისინი, ვინც სარგებლობენ მეტი ძალაუფლებით, გამოიყენებენ ამას უთანასწორობის, მათ შორის, გენდერული უთანასწორობის შენარჩუნების მიზნით.“ დასკვნის სახით ოპენჰაიმერი გვაფრთხილებს, რომ თუ მსხვერპლ ქალებს არ მიეცემათ სიტყვის თავისუფლება, ამას სავალალო და მიუღებელი შედეგები მოჰყვება.⁹⁵

45. გენდერული ძალადობის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მოძალადესა და მსხვერპლს შორის ძალაუფლების არათანაბარი განაწილება, რომლითაც მოძალადე სარგებლობს როგორც სექსუალური შევიწროების ჩადენისას, ასევე კანონის გამოყენების დროს მსხვერპლის გაჩუმებისა ან დისკრედიტაციის მიზნით. დადგენილია, რომ ცილისწამების სარჩელებს აქვთ მსუსხავი ეფექტი საზოგადოების აქტიურობისა და გამხატვის თავისუფლების მიმართ. ჰონგ კონგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი პუჯა კაპაი აღნიშნავს:⁹⁶ „ეს [მდგომარეობა] აჩვენებს, თუ რამხელა ძალაუფლება აქვთ მამრობითი სქესის მოძალადეებს გამოიყენონ კანონის ბერკეტები სრული მოცულობით, იმისთვის, რომ დააშინონ და გააჩუმონ თავიანთი ბრალმდებლები, რომლებიც ისედაც იშვიათად იწყებენ ლაპარაკს.“⁹⁷

46. მოცემულ შემთხვევაში, პ. უ.-ს მიერ ცილისწამების სარჩელის შეტანა ე. მ.-ს წინააღმდეგ, არამხოლოდ სამაგიეროს გადახდას ემსახურება, არამედ იგი ხელს უწყობს გენდერული ძალადობის გავრცელების შენარჩუნებას ე. მ.-ს გაჩუმებით და არსებული ძალაუფლებრივი უთანასწორობის

⁹³ Could BC's New Anti-SLAPP Law Help #MeToo Survivors? Legal experts say it remains to be seen, but south of the border, examples are emerging. The Yee (May 2019), <https://theyee.ca/News/2019/05/07/BC-Anti-SLAPP-Law/>

⁹⁴ სამართლის პროფესორი დევიდ ბ. ოპენჰაიმერი არის იურიდიული ფაკულტეტის კლინიკური პროფესორი და თანა-დირექტორი, პრო ბონო პროგრამის დირექტორი, ბერკლის შედარებითი თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული სამართლის ცენტრში, მან თავის კვლევაში შეისწავლა ცილისწამების საქმეები ჩინეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან, საფრანგეთიდან, ეგვიპტიდან, შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან და ავსტრალიიდან.

⁹⁵ დევიდ ბ. ოპენჰაიმერი, ცილისწამების შესახებ კანონი აღიჭურვება #MeToo გლობალური მოძრაობის განადგურებისთვის: შეუძლია თუ არა სიტყვის თავისუფლების დაცვის მექანიზმებს ამ ზეგავლენის დაძლევა?, თავი 40.

⁹⁶ პროფესორი პუჯა კაპაი არის შედარებითი და საჯარო სამართლის ცენტრის დირექტორის მოადგილე და სტიპენდიანტი, საზაფხულო სოციალური სამართლიანობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ჰონგ კონგის უნივერსიტეტის იურისტის ასისტენტ-პროფესორი. იგი ასევე არის ავსტრალიის ახალი სამხრეთი უელსის უნივერსიტეტის მონვეული მკვლევარი.

⁹⁷ პუჯა კაპაი, „#MeToo როგორც კათარზისი ჰონგ კონგის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის: სიჩუმისა და სირცხვილის კულტურების დაპირისპირება და პირობების შექმნა არსებითი ცვლილებისთვის“, თავი 26.

ბოროტად გამოყენებით. პ. უ.-ს მოთხოვნასთან ერთად, რომ ე. მ.-მ უარყოს საკუთარი განცხადებები საჯაროდ, ტელევიზიის მეშვეობით, ცილისწამების შესახებ სარჩელი ემსახურება და ინვეს ე. მ.-ს გაჩუმებას, მის დისკრედიტაციას და ძალადობრივი გამოცდილებისთვის მის ხელახლა დაქვემდებარებას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ უნდა დატოვოს ყურადღების მიღმა ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველმა უკვე დაადგინა, რომ პ. უ.-ს ქმედებები სექსუალური შევიწროების ფორმას წარმოადგენს და სასამართლომ არ უნდა დაუშვას ცილისწამების შესახებ სარჩელების გამოყენების პრაქტიკის დანერგვა იმ ქალების გაჩუმების მიზნით, ვინც სექსუალური შევიწროების ფაქტებზე ჩივიან. ასეთი პრეცედენტის შედეგი სავალალო იქნება.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, მიგვაჩნია, რომ სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს ე. მ.-ს საკასაციო საჩივარი და გაათავისუფლოს იგი ვალდებულებისაგან, საჯაროდ უარყოს პ. უ.-ს მიერ მის მიმართ ჩადენილი შევიწროების ფაქტი. **ამგვარი გადაწყვეტილების მიღება იქნება დასტური იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო იცავს ევროპულ კონვენციას და ადამიანის უფლებათა სხვა სტანდარტებს, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ საქართველოსთვის.**